



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა შ ტ ბ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„13“ „07“ 2015 წელი

ფგზ N2

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
ბუღალტრული ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში

აშ-48/00

სარჩევი

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ	3
ფორმა #1- ბალანსი	10
ბალანსის დანართი ფორმა #2- ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	11
ბალანსის დანართი ფორმა #2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	12
ბალანსის დანართი ფორმა #3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	13
ბალანსის დანართი ფორმა #4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების შესახებ.....	14
ბალანსის დანართი ფორმა #5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ძირითადი საშუალებები)	15
ბალანსის დანართი ფორმა #5 (გაგრძელება) - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (მატერიალური მარაგები).....	16
ბალანსის დანართი ფორმა #6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	17

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. დასკვნის გაცემაზე უარის საფუძველზე მითითებული საკითხების გამო, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, რათა გამოგვეხატა ჩვენი აუდიტორული მოსაზრება.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძველი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

არაფინანსური აქტივები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა დასრულებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია და შესაბამისად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება დეპარტამენტის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივების სისრულესა და არსებობაზე.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

არაფინანსური აქტივები

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს („სააგენტო“) არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები არ აქვს გათვალისწინებული და ასახული 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ბალანსში. არაფინანსური აქტივების რეესტრში ასახული ბრუნვები არ ედრება მემორიალური ორდერების ბრუნვებს. გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტო არ იყენებს სისტემატიზირებულ ბუღალტრულ პროგრამას, დამატებითი პროცედურების ჩატარება შეუძლებელი გახდა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ბალანსში ასახულ არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით.

მოთხოვნები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს ბალანსზე მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით და სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები, ასახულია 4,934,331 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, შესაბამისად აღნიშნული თანხით გაზრდილია აქტივები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოთაღნიშნული გარემოება განმარტებულია შემდეგნაირად: „ბუნების დაცვის პროგრამა სამხრეთ კავკასია-საქართველო, ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში (KFW)“ და „დაცული ტერიტორიებს მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“, ფარგლებში გამოიყო გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებასთან ერთად. ამ ასიგნებებიდან, სააგენტო განკარგავდა მხოლოდ თანადაფინანსების სახსრებს, ხოლო ნაწილი თანხების იხარჯებოდა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში დონორი ორგანიზაციის მიერ, რომლის ასახვაც სახელმწიფო ბიუჯეტში ხორციელდებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი ჩარიცხვის დოკუმენტების (ე.წ. ლოგასი) საფუძველზე. მიუხედავად სააგენტოს მრავლჯერადი მოთხოვნისა, დონორი ორგანიზაციის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა ზემოთაღნიშნული დებიტორული დავალიანების ჩამოწერა.

საოპერაციო ხარჯები

სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების შესახებ ანგარიშში ასახულ საოპერაციო ხარჯებში ზედმეტად დარიცხულია 25,000 ლარის ოდენობის ხარჯი, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე:

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება 40,000 ლარის ოდენობის მოსახურებაზე და გადარიცხული თანხაც შეადგენს ხელშეკრულებაში მითითებულს, თუმცა ხარჯებში დარიცხვა მოხდა 60,000 ლარის, შესაბამისად 20,000 ლარით ზედმეტი აისახა საოპერაციო ხარჯებში.
- შპს „სახაზავთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული მომსახურება ექვემდებარებოდა არაფინანსურ აქტივებზე კაპიტალიზაციას, თუმცა მთლიანი ღირებულებიდან 5,000 ლარი (ავანსის თანხა) კაპიტალიზაციის ნაცვლად ჩამოიწერა ხარჯებში, შესაბამისად

აღნიშნული თანხით გაიზარდა საოპერაციო ხარჯები და შემცირდა არაფინანსური აქტივების ღირებულება.

ვალდებულებები

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებებთან მიმართებით.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

არაფინანსური აქტივები

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს („სატყეო სააგენტო“) ბუღალტრულ ანგარიშგებაში არ აქვს გათვალისწინებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების ეფექტი, შესაბამისად ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსში.

სატყეო სააგენტოს 2014 წელს სახელმწიფოსგან სარგებლობაში გადმოეცა ქონება. აღნიშნული ქონების ნაწილზე ღირებულების შეფასება არ მომხდარა და ბალანსზე აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით.

შემოსავლები

სატყეო სააგენტოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებობს სამი ისეთი ანძა, რომელზეც სატყეო სააგენტოს არ აქვს აღნიშნული ანძების მესაკუთრესთან, შპს მაგთიკომთან, გაფორმებული ხელშეკრულება და მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები მათ გასაფორმებლად, სატყეო სააგენტომ ვერ მოახერხა 2014 წლის კუთვნილი შემოსავლების შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში აღრიცხვა და მიღება.

სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა

სსიპ ეროვნული სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის („სანერგე მეურნეობა“) მიერ მოწოდებულ ბრუნვით უწყისებსა და მემორიალური ორდერების წლიურ ბრუნვებს შორის გამოვლინდა სხვაობები. ჩვენ ვერ მივიღეთ სხვაობების გამოკვლევისთვის საჭირო ინფორმაცია სრულად და შესაბამისად ჩვენ ვერ გამოვხატავთ მოსაზრებას სამინისტროს ბუღალტრულ ანგარიშგებაში დაკონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის სისწორეზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

არაფინანსური აქტივები

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს („გარემოს სააგენტო“) 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა დასრულებული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია და შესაბამისად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება გარემოს სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების სისრულესა და არსებობაზე.

ფინანსური აქტივები

„საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ჩაითვალა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და რეგულირების საფასურს. აღნიშნული მოთხოვნების ჯამი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 1,648,375 ლარს,

¹ 2013 წლის 25 აპრილის N93 დადგენილების პირველი მუხლის, მე-8 პუნქტი

მათ შორის 573,824 ლარის ოდენობის დავალიანება ერიცხება შპს „აიეტი ჯორჯიას“, რომელსაც გორის რაიონული სასამართლოს დადგენილებით² დაეკისრა აღნიშნული თანხის გარემოს სააგენტოს სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება, თუმცა გარემოს სააგენტოს არ მიუღია შესაბამისი ზომები ამ თანხის ამოღებასთან დაკავშირებით. სხვა დანარჩენი ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ გარემოს სააგენტომ გააგზავნა დასტურის წერილები, თუმცა, მათი მოთხოვნის მიუხედავად, დებიტორებისგან პასუხები არ მოსულა. საკმარისი რწმუნების მისაღებად დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება შეუძლებელია, შესაბამისად ვერ ვრწმუნდებით აღნიშნული დებიტორული დავალიანებების სიზუსტეში.

შემოსავლები

გარემოს სააგენტოს შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ბუნებრივ რესურსებზე ლიცენზიატების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, სადაც გამოვლინდა კონტროლის სისუსტე. კერძოდ, ლიცენზიატების გარკვეულ ნაწილს არ აქვს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილებით³ გათვალისწინებული გარემოს სააგენტოს ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმები, რის გამოც გარემოს სააგენტოსთვის შეუძლებელია ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების (სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მოცულობებისა და მათ ასათვისებლად გათვალისწინებული ვადების დაცვა) დაცვის კონტროლი, რაზეც დამოკიდებულია რეგულირების საფასურთან დაკავშირებული შემოსავლის აღრიცხვა. ამ შემთხვევებში ლიცენზიატები გარემოს სააგენტოს პერიოდულად წარმოდგენენ წერილს მოპოვებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობაზე. თუმცა, იმის გამო, რომ არ მოწმდება წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება გარემოს სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული შემოსავლების სისრულეზე.

უარი დასკვნის გაცემაზე

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება აუდიტის დასკვნის გასაცემად სამეურნეო სუბიექტის კონსოლიდირებულ ბალანსზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებებზე მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის ამ კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

² 2013 წლის 26 ივნისის დადგენილება (საქმე #3/65-13)

³ N136 დადგენილების მე-7 მუხლის „ნ“ პუნქტი

მნიშვნელოვან საკითხთა აზრები

სამინისტროს აპარატი

ლიკვიდირებული ორგანიზაციის აქტივები და ვალდებულებები

2010 წელს დაიწყო სსიპ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს ლიკვიდაციის პროცესი. სამინისტროს ბალანსზე ასახულია აღნიშნული სააგენტოს აქტივები და ვალდებულებები. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდაციის პროცესი დასრულებული არ არის.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ცვეთის ხარჯი

56 ძირითად აქტივს ცვეთა ერიცხებოდა არასწორი ცვეთის კოეფიციენტებით⁴, რის გამოც 2014 წელს ზედმეტად დარიცხულია 5,025 ლარის ცვეთის ხარჯი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

ფინანსური აქტივები

სატყეო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნები დანაკლისით 70,772 ლარი, წარმოადგენს წინა წლებში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისებს, რომელთა ამოღებისა და გამოვლენის ალბათობა ძალიან მცირეა.

სატყეო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული სხვა დებიტორული დავალიანებები მოიცავს მოთხოვნებს 50,808 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა 2004 წელს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით სატყეო სააგენტოს დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, სამხედრო ბაზებისა და დევნილი მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგება. აღნიშნულ პირებზე სატყეო სააგენტოს მიერ მიწოდებულ იქნა სათბობი შეშა. მიწოდებულ რესურსზე ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი უნდა გადაეხადათ ადგილობრივ გამგეობებს, რაც ბიუჯეტის დეფიციტიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა და საფუძველი გახდა დებიტორული დავალიანების წარმოშობისა. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული დავალიანების ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა.

არაფინანსური აქტივები

სატყეო სააგენტომ 2014 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდიდან (GIZ) უსასყიდლოდ მიიღო 2008 წელს გამოშვებული ტოიოტა პრადო. აღნიშნული ავტომობილის ისტორიული ღირებულება იყო 70,523 ლარი. მიღება-ჩაბარების აქტში არ იყო მითითებული ავტომობილის საბალანსო ღირებულება და სააგენტომ ბალანსზე აიყვანა ისტორიული ღირებულებით. აღნიშნული თანხა არ წარმოადგენდა რეალურ ღირებულებას გადმოცემის მომენტში და შესაბამისად ძირითად აქტივებში არასწორი თანხით აისახა.

სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა

არაფინანსური აქტივები

სანერგე მეურნეობამ 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჩაატარა ბალანსზე აღრიცხული სარეალიზაციოდ ვარგისი ნერგების, ქონების, აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული ძირითადი აქტივების, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების, ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგებისა და ამორტიზებული აქტივების ინვენტარიზაცია. განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგების ამსახველი საინვენტარიზაციო კომისიის ოქმის ინფორმაციით გამოვლინდა, რომ რიგი მატერიალური მარაგები, მცირეფასიანი აქტივები და ძირითადი საშუალებები ამორტიზებულია, გამოყენებისთვის

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #439 ბრძანება

უვარგისია და ექვემდებარება ჩამოწერას. ასევე ჩამოსაწერია ბალანსზე აღრიცხული დიდი რაოდენობით ნერგები, რომლებიც გადაზრდილია. ინვენტარიზაციის შედეგები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბუღალტრულ ანგარიშგებაში გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის წერილით⁵, სააგენტოს 2012 წელს სარგებლობაში გადმოეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 961,151 კვ.მ. მიწის ფართობი და მასზე განლაგებული 11 ერთეული შენობა-ნაგებობა. გადმოცემული მიწა და 4 ერთეული შენობა-ნაგებობა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს ბალანსზე არ არის აყვანილი.

რეალიზებული ნერგების ჩამოწერა

გამომდინარე იქიდან, რომ ნერგების გარკვეულ ნაწილზე რაოდენობა და ღირებულება არ იყო განსაზღვრული და ბალანსზე ასახული, 2014 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რეალიზებული ნერგების ბალანსიდან ნულოვანი ღირებულებით ჩამოწერას.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

წარმომადგენლობითი ხარჯები

2014 წლის განმავლობაში სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის („განათლების ცენტრი“) წარმომადგენლობითი ხარჯებმა შეადგინა 92,382 ლარი, (გრანტის თანხებიდან - 60,263 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 23,546 ლარი და ბიუჯეტიდან - 8,573 ლარი). ამ ხარჯების დიდი ნაწილი გაწეულია სასწავლო და ინფორმაციული ტრენინგების ორგანიზებისთვის, რომელიც წარმოადგენს განათლების ცენტრის ძირითად საქმიანობას და მასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა იქნეს მიჩნეული წარმომადგენლობით ხარჯად. ვინაიდან ეს ხარჯები მიკუთვნებულია წარმომადგენლობით ხარჯებს, შესყიდვები ხორციელდებოდა გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში აღემატებოდა 5,000 ლარს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

არაფინანსური აქტივები

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები), თანხით - 7,165,714 ლარი, მ.შ შენობები - 649,017 ლარის და ნაგებობები - 6,516,697 ლარის, ასევე ნაპირსამაგრი ნაგებობები. აღნიშნულ ქონებაზე სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია. არ არის დაზუსტებული საკუთრების უფლება და მათი არსებობა.

ბალანსში არ არის სწორად გამიჯნული სხვა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და სხვა მატერიალური მარაგები. კერძოდ, სხვა მატერიალურ მარაგებში მოქცეულია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი შესყიდვების დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მიღება-ჩაბარების აქტების ნაწილზე არ იყო მითითებული თარიღები, რის გამოც ვერ მოხერხდა ბუღალტერიაში აღრიცხვის შესაბამისობის დადგენა და შესაბამისად ვერ გამოვლინდა შესაძლო დასარიცხი ჯარიმები.

ვალდებულებები

სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 1998-2003 წლებში წარმოშობილი ხელფასების დავალიანება. შესაბამისად, ამ პერიოდში ბუღალტერიაში აისახა გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი - 39,322 ლარის ოდენობით და ასევე, ხელფასებიდან დარიცხული სოციალური ანაზღაურებები, რომელიც 2014 წლის ბალანსში დაფიქსირდა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, თანხით - 34,974 ლარი, რომელიც არ ედრება შესაბამის საგადასახადო ბარათს (ბარათზე ნაშთი არ არის).

⁵ წერილი N05/8143 (დამოწმების თარიღი 12/04/2012)

სხვა საკითხთა აბზაცი

პრემიები და დანამატები

ქვემოთ, ცხრილის სახით, წარმოდგენილია გაცემული პრემიები და დანამატები თვეების მიხედვით, როგორც სამინისტროს ასევე მასში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით. ცხრილში ჩანს პრემიების დანამატებით შეცვლის ტენდენცია 2014 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ #449 დადგენილების მიღების შემდგომ.

	სამინისტროს აპარატი		გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი		სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო		სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო		სსიპ სატყეო სანერგე მეურნეობა		სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი		სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		ჯამი	
თვე	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	84,700	2,710	96,875	-	31,556	55,904	46,660	-	10,560	11,000	-	-	-	3,181	270,351	72,795
თებერვალი	88,210	2,710	87,525	-	38,258	24,301	41,800	-	-	6,420	-	1,680	38,065	3,359	293,858	38,470
მარტი	72,450	2,710	93,720	-	31,757	24,095	72,625	-	8,850	670	-	4,972	3,675	3,072	283,077	35,519
აპრილი	125,990	2,710	71,585	-	41,223	34,936	180,468	-	15,392	-	-	4,354	79,450	3,712	514,108	45,712
მაისი	92,820	2,710	151,225	-	38,888	28,273	53,580	-	9,772	-	2,080	6,903	71,790	3,476	420,155	41,361
ივნისი	87,920	2,710	80,080	-	41,600	26,593	80,744	-	-	-	-	10,188	124,150	2,091	414,494	41,582
სულ I-II კვ.	552,090	16,260	581,010	-	223,282	194,102	475,877	-	44,574	18,090	2,080	28,097	317,130	18,891	2,196,043	275,439
ივლისი	-	2,710	73,435	-	4,677	28,533	87,769	-	-	-	-	6,570	-	1,784	165,881	39,596
აგვისტო	132,590	3,770	7,510	80,955	39,022	61,671	-	87,769	-	-	-	5,870	152,720	1,623	331,842	241,658
სექტემბერი	-	85,194	-	66,365	-	59,847	-	89,110	-	-	-	6,537	500	72,559	500	379,612
ოქტომბერი	-	80,298	-	88,595	36,730	62,581	-	132,992	-	-	-	5,680	-	107,175	36,730	477,321
ნოემბერი	-	75,283	-	62,350	-	54,404	-	85,739	-	-	-	8,604	-	89,559	-	375,939
დეკემბერი	193,140	82,019	9,600	132,312	115,124	82,769	392,428	54,690	-	18,000	18,500	3,960	351,940	45,800	1,080,732	419,550
სულ III-IV კვ.	325,730	329,274	90,545	430,577	195,553	349,805	480,197	450,300	-	18,000	18,500	37,221	505,160	318,500	1,615,685	1,933,676
ცვლილება⁶	(226,360)	313,014	(490,465)	430,577	(27,729)	155,703	4,320	450,300	(44,574)	(90)	16,420	9,124	188,030	299,609	(580,358)	1,658,237
ჯამი	877,820	345,534	671,555	430,577	418,834	543,907	956,074	450,300	44,574	36,090	20,580	65,317	822,290	337,391	3,811,727	2,209,115

⁶ III და IV კვარტლების ჯამს გამოკლებული I და II კვარტლების ჯამი

	31.12.2013	31.12.2014
ფინანსური აქტივები		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2,874,158	4,615,661
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	3,226	23,042
სხვა ანგარიშები ბანკში	15,907	2,894
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	213,008	179,133
სხვა ანგარიშები ხაზინაში	183,772	1,324,615
სულ ფინანსური აქტივები	3,290,071	6,145,345
სხვა დებიტორული დავალიანებები		
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და სხვა შემოსავლებით	12,023	12,023
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	741	737
გადახდილი დღგ	11,395	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	63,856	60,765
სხვა საგადასახადო აქტივი	15,807	16,926
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	47,393	52,546
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1,474,584	3,027,953
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	74,581	76,389
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	16	16
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1,663	7,112
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	4,773,757	5,331,756
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1,581,083	2,900,372
სულ დებიტორული დავალიანებები	8,056,899	11,486,595
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	2,105,510	2,172,937
შენობა-ნაგებობები	34,535,039	40,639,817
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	12,380,821	13,964,928
სხვა ძირითადი აქტივები	541,745	783,126
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	6,316,620	2,319,490
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	871,247	1,011,570
არაწარმოებული აქტივები	512,635	1,260,294
სულ არაფინანსური აქტივები	57,263,617	62,152,162
სულ აქტივები	68,610,587	79,784,102
სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	213,008	179,133
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	475,315	654,136
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	262,595	320,972
გადასახდელი მოგების გადასახადი	94,937	196,626
გადასახდელი დღგ	39,529	53,538
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	461,749	461,321
სხვა გადასახდელები	18,303	17,230
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	1,337,124	1,334,989
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	2,173,569	2,157,130
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	61,470	60,987
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3,170	3,170
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	717,339	755,114
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,858,108	6,194,346
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	52,595,040	59,740,214
გაუნაწილებელი მოგება	10,157,439	13,849,542
სულ კაპიტალი	62,752,479	73,589,756
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	68,610,587	79,784,102
საცნობარო მუხლები		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	1,076,741	1,062,350
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	480,212	480,212
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	2,654,684	3,119,893
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	4,637,266	4,893,070
ვადაგადაცილებული დავალიანებები	5,858,108	6,194,346
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	275,652	409,226

ბალანსის დანართი ფორმა #2- ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა
ხარჯები	(25,065,000)	(25,317,900)	(26,668,311)	(26,456,389)	(26,456,389)	(30,779,280)	(4,322,896)*
შრომის ანაზღაურება	(16,460,800)	(17,522,582)	(17,752,982)	(17,681,172)	(17,681,172)	(17,675,687)	5,485
ხელფასები	-	-	(17,752,982)	(17,681,172)	(17,681,172)	(17,675,687)	5,485
ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	(17,752,982)	(17,681,172)	(17,681,172)	(17,675,687)	5,485
თანამდებობრივი სარგო	-	-	(14,467,308)	(14,448,808)	(14,448,808)	(14,443,630)	5,178
პრემია	-	-	(1,813,761)	(1,809,100)	(1,809,100)	(1,809,005)	95
დანამატი	-	-	(1,471,913)	(1,423,264)	(1,423,264)	(1,423,052)	212
საქონელი და მომსახურება	(7,925,200)	(6,625,400)	(6,778,235)	(6,646,766)	(6,646,766)	(6,984,021)	(337,255)
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	(490,931)	(490,736)	(490,736)	(490,717)	19
მივლინებები	-	-	(582,163)	(570,497)	(570,497)	(567,709)	2,788
ოფისის ხარჯები	-	-	(1,401,712)	(1,318,162)	(1,318,162)	(1,534,387)	(216,225)
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	(141,801)	(141,799)	(141,799)	(139,122)	2,677
სამედიცინო ხარჯები	-	-	(251,744)	(251,744)	(251,744)	(251,049)	695
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	(34,957)	(34,956)	(34,956)	(125,496)	(90,540)
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლაშენახვის ხარჯები	-	-	(2,115,859)	(2,086,892)	(2,086,892)	(2,134,547)	(47,655)
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	-	-	-	-	-	(945)	(945)
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	(1,759,068)	(1,751,980)	(1,751,980)	(1,740,049)	11,931
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	(5,308,352)	(5,308,352)
სუბსიდიები	(118,000)	(527,500)	(1,396,354)	(1,394,490)	(1,394,490)	(77,264)	1,317,226
გრანტები	(390,000)	(390,000)	(446,401)	(446,249)	(446,249)	(446,249)	-
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	-	-	(446,401)	(446,249)	(446,249)	(446,249)	-
მიმდინარე	-	-	(446,401)	(446,249)	(446,249)	(446,249)	-
სოციალური უზრუნველყოფა	(66,000)	(108,600)	(105,429)	(99,500)	(99,500)	(99,500)	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	(105,429)	(99,500)	(99,500)	(99,495)	-*
ფულადი ფორმით	-	-	(105,429)	(99,500)	(99,500)	(99,500)	-
სხვა ხარჯები	(105,000)	(143,818)	(188,910)	(188,212)	(188,212)	(188,212)	-
სხვადასხვა ხარჯები	-	-	(188,910)	(188,212)	(188,212)	(188,212)	-
მიმდინარე	-	-	(188,910)	(188,212)	(188,212)	(188,212)	-

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ*

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით	ფაქტიურად*
შტატით მომუშავეთა რაოდენობა	1,917	1,804	369	367
შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა	95	66	247	233

* სამინისტროს მიერ წარდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაში გამოვლენილი არითმეტიკული უზუსტობები

ბალანსის დანართი ფორმა #2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა
არაფინანსური აქტივები	5,935,000	5,945,379	5,944,235	5,890,912	5,890,912
ძირითადი აქტივები	-	-	5,724,242	5,670,919	5,670,919
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	1,349,970	1,297,215	1,297,215
გზები	-	-	8,750	8,750	8,750
სხვა შენობა-ნაგებობები	-	-	2,454,760	2,454,192	2,454,192
სატრანსპორტო საშუალებები	-	-	1,283,922	1,283,922	1,283,922
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	591,770	591,770	591,770
სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	35,070	35,070	35,070
არაწარმოებული აქტივები	-	-	219,993	219,993	219,993
სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	-	-	219,993	219,993	219,993

ბალანსის დანართი ფორმა #3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	წმინდა ღირებულება
ნაშთი 31/12/2013	52,595,040
ზრდა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	32,385,042
გრანტები	3,902,997
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	2,046,297
სხვა ეკონომიკური ნაკადი	5,423,555
სულ	43,757,891
შემცირება	
მომუშავეთა ანაზღაურება	(17,675,687)
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	(6,984,021)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(5,308,352)
სუბსიდიები	(77,264)
გრანტები	(446,249)
სოციალური უზრუნველყოფა	(99,495)
სხვა ხარჯები	(188,212)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(1,028,039)
სხვა ეკონომიკური ნაკადი	(4,399,650)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	(396,780)
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	(8,968)
სულ	(36,612,717)
ნაშთი 31/12/2014	59,740,214

ბალანსის დანართი ფორმა #4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების შესახებ
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	სულ		
	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის	-	2,893,291	-
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის	-	-	10,157,439
საოპერაციო შემოსავლები	16,507,565	18,123,267	19,226,534
გრანტები	335,315	458,453	438,731
შემოსავლები საკუთრებიდან	6,571,000	950	2,486
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,332,250	8,255,525	7,116,966
სანქციები,ჯარიმები,საურავები	-	5,495	85,678
ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა	-	69,870	69,870
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	8,269,000	9,332,974	11,512,803
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	14,768,150	14,704,311	13,514,002
შრომის ანაზღაურება	8,273,025	8,044,168	8,044,168
საქონელი და მომსახურება	5,517,825	5,229,805	4,617,887
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	629,472
სოციალური უზრუნველყოფა	49,000	53,409	53,409
სხვა ხარჯი	928,300	1,376,929	169,066
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,136,800	1,669,617	-
ძირითადი აქტივები	4,136,800	1,669,617	-
არასაოპერაციო შემოსავლები	-	166	166
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	166	166
არასაოპერაციო ხარჯები	-	1,199	1,786,294
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	1,199	1,199
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	-	-	54,095
ვალდებულებების მიღება	-	-	1,731,000
მოგების გადასახადი	-	-	234,301
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	-	4,641,597	13,849,542
ნაშთი 31/12/2014		4,641,597	13,849,542

ბალანსის დანართი ფორმა #5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ძირითადი საშუალებები)
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	მიწა	სხვა ბუნებრივი აქტივები	საცხოვრე- ბელი შენობები	არასაცხოვ- რებელი შენობები	სხვა შენობა- ნაგებობები	სატრანს- პორტო საშუალებ- ები	სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	კულტი- ვირებული აქტივები	არამატე- რიალური ძირითადი აქტივები	დაუმთავ- რებელი ძირითადი აქტივი	გრძელვა დიანი მცირეფას იანი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2013	512,635	-	24,417	21,173,784	13,336,838	7,071,121	5,309,700	57,841	483,904	6,316,620	871,247	55,158,107
მატება												
შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	-	-	-	62,932	-	189,716	73,267	-	13,347	-	2,495	341,757
შესყიდული მიმდინარე პერიოდში	-	-	-	2,052,603	1,292,875	1,481,207	833,537	-	35,609	62,592	257,159	6,015,582
ბარტერით	-	-	-	-	-	46,400	-	-	-	-	-	46,400
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	-	103,890	-	561,928	4,772	924,703	173,354	800	140,995	-	752	1,911,194
გრანტებით	-	-	-	-	-	553,836	1,766,169	-	224,955	-	15,177	2,560,137
სხვა შემოსავლებით	-	-	-	32,922	-	-	-	-	-	-	-	32,922
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	643,769	-	-	4,646,555	-	70,359	10,167	-	-	-	-	5,370,850
საკუთარი სახსრებით												
კაპიტალის შექმნა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დანაკლისის აღდგენით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
*სხვა მიღებები	-	-	-	-	-	-	-	-	-	6,077	-	6,077
გაყიდვით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	-	-	-	(408,268)	-	(545,746)	(57,524)	-	-	-	(276)	(1,011,814)
დანაკლისით	-	-	-	-	-	-	(1,808)	-	-	-	-	(1,808)
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	-	(115,753)	-	(126,372)	(42,315)	(1,472)	(23,514)	(4,065,799)	-	(4,375,225)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	(1,650)	(677,398)	(1,346,740)	(1,958,572)	(1,804,124)	(14,144)	(135,195)	-	-	(5,937,823)
საქონელი და მომსახურებით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	(134,984)	(134,984)
*სხვა გასვლები	-	-	-	-	-	-	(2,147)	-	-	-	-	(2,147)
ნაშთი 31/12/2014	1,156,404	103,890	22,767	27,329,305	13,287,745	7,706,652	6,258,276	43,025	740,101	2,319,490	1,011,570	59,979,225

ბალანსის დანართი ფორმა #5 (გაგრძელება) - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (მატერიალური მარაგები)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	ნედლეული და მასალები	დაუმთავრებელი წარმოება	მზა პროდუქცია	ფულადი დოკუმენტები	სათადარიგო ნაწილები	სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2013	21,430.00	10,661.00	517,340.00	47,343.00	123,048.00	1,385,688.00	2,105,510
მატემა							
შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	-	-	-	-	-	32,846	32,846
შესყიდული მიმდინარე პერიოდში	52,458	-	5,890	981,616	219,626	2,508,438	3,768,028
ბარტერით	-	-	-	-	-	-	-
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	-	-	-	-	1,070	134,033	135,103
გრანტებით	-	-	-	-	-	18,245	18,245
სხვა შემოსავლებით	-	-	245,394	-	-	-	245,394
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	5,507	-	2,909	-	-	405	8,821
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	1,750	-	-	-	-	-	1,750
დანაკლისის აღდგენით	-	-	-	267	-	-	267
*სხვა მიღებები	-	31,364	-	-	-	1,609	32,973
გასვლა							
გაყიდვით	-	-	(190,944)	-	-	-	(190,944)
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	-	-	(67,575)	-	(506)	(2,239)	(70,320)
დანაკლისით	-	-	-	-	-	-	-
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	(12,404)	-	-	(170)	(12,574)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	-	-
საქონელი და მომსახურებით	(23,872)	-	(5,539)	(989,928)	(265,265)	(2,597,851)	(3,882,455)
*სხვა გასვლები	(6,691)	-	-	-	-	(13,016)	(19,707)
ნაშთი 31/12/2014	50,582	42,025	495,071	39,298	77,973	1,467,988	2,172,937

ბალანსის დანართი ფორმა #6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

დასახელება																		
	საანგარიშო პერიოდში მიღება						საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში																	
			შემენა	სხვა სახით მიღება		ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული										
	რაოდ- ენობა	ღირე- ბულება	რაოდ- ენობა	ღირე- ბულება	რაოდ- ენობა	ღირე- ბულება	რაოდ- ენობა	ღირე- ბულება	რაოდ- ენობა	ღირე- ბულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთე ბა	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა- დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთე ბა	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა- დარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	770	7,071,121	55	1,670,923	30	1,595,298	9	147,391	20	524,727	3,050,504	604,095	2,147,004	214,089	3,090,207	603,985	2,139,744	260,167
მათ შორის																		
მსუბუქი	41	514,437	6	161,425	1	14,061	-	-	6	38,079	186,748	21,720	154,020	10,197	186,816	21,720	152,689	11,597
ჯიპები და პიკაპები	311	5,903,640	32	1,354,847	21	1,126,893	6	147,391	12	483,148	2,672,667	552,699	1,892,731	192,359	2,717,448	552,589	1,893,186	237,037
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	59	587,424	17	154,651	8	454,344	-	-	1	3,500	75,765	13,856	61,909	-	69,381	13,856	55,525	-
სატვირთო	359	65,620	-	-	-	-	3	-	1	-	68,221	15,820	38,344	11,533	68,221	15,820	38,344	11,533

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბიჭიკო ზარქუა



თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

გიორგი ხითარიშვილი

გ. ხითარიშვილი

მირიან შარიქაძე



ნინო ქაშიბაძე



ანა ბურდიაშვილი

ა. ბურდიაშვილი